ქ. თბილისი " " _____" 2026 წ.

ხელშეკრულება

ერთის მხრივ შპს „დელისი ტვ" (ს.კ 405505065) შემდგომში მოხსენიებული როგორც **ოპერატორი** და მეორეს მხრივ

*აბონენტი*_____

*მისამართი*_____

ტელეფონი_____

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ოპერატორი გაუწევს აბონენტს სატელევიზიო-საკაბელო მომსახურებას, რაც გულისხმობს, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, აბონენტის საკაბელო სატელევიზიო ქსელზე მიერთებას და დანართ №1-ში მითითებულ სატელევიზიო არხების ტრანზიტულად მიღებას.

2. მომსახურებისა და ანაზღაურების პირობები

2.1 მომსახურება გაეწევა აბონენტს განცხადების საფუძველზე, ქსელზე მიერთება მოხდება ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე;

2.2 სატელევიზი-საკაბელო ქსელში მიერთება ხდება აბონენტის კაბელითა და აქსესუარებით;

2.3 აბონენტთან დამონტაჟებული კაბელი და აქსესუარები, ქსელიდან გასვლის შემთხვევაში რჩება აბონენტს საკუთრებაში;

2.4 საკაბელო ტელევიზიის ქსელი და მასზე დამონტაჟებული ყველა მოწყობილობა წარმოადგენს ოპერატორის საკუთრებას და მასზე ნებისმიერი სახის სამუშაოების ჩატარება წარმოადგენს მის კომპეტენციას;

2.5 აბონენტის მხარეს (კერძო თუ საერთო სარგებლობის ფართში) საკაბელო ტელევიზიის ქსელში არასანქცირებული ჩართვა, მისი გადაკეთება ან ნებისმიერი სხვა სამუშაოების ჩატარება, მესამე პირისათვის გაყოფა და გადაცემა განიხილება, როგორც აბონენტის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევა და პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

2.6 სატელევიზიო-საკაბელო ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი ერთ სამომხმარებლო წერტილზე, შეადგენს 15 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. ოპერატორის უფლებები და ვალდებულებები

3.1 ოპერატორი იღებს ვალდებულებას მიიღოს ყოველგვარი საჭირო ზომები აბონენტის მომსახურების გასაუმჯობესებლად.

3.2 წინასწარ აცნობებს ვებ-გვერდის მეშვეობით აბონენტს ჩასატარებელი გეგმიური პროფილაქტიკური-სამონტაჟო სამუშაოებისშესახებ.

3.3 ოპერატორი უზრუნველყოფს სატელევიზიო სიგნალის ტრანსპორტირებასსტუდიიდან აბონენტამდე.

3.4 ოპერატორი იტოვებს უფლებას შეცვალოს მომსახურების პირობები, გამორთოს ან ჩართოს ესა თუ ის სატელევიზიო პროგრამა, მათ შორის მთლიანად და ნაწილობრივ ყველა ის სატელევიზიო არხი, რომელთა მიღება-გავრცელება შეეზღუდა თვით ოპერატორს. აღნიშნული ცვლილების შესახებ შეტყობინება ოპერატორმა უნდა განათავსოს წინასწარ საკუთარ ვებგვერდზე.

3.5 ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი პროგრამების შინაარსზე, ამ პროგრამების სამუშაო ბადეზე ან მათ შეცვლაზე, რამდენადაც ოპერატორი წარმოადგენს მხოლოდ სატელევიზიო არხების ტრანზიტორს.

აბონენტი თანხმობას აცხადებს, რომ ოპერატორს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ცალმხრივად შეცვალოს სააბონენტო გადასახადი. აღნიშნული ცვლილების შესახებ ოპერატორმა ცნობა უნდა გაავრცელოს საინფორმაციო არხის საშუალებით ან განათავსოს ვებ-გვერდზე ..... არაუგვიანეს ერთი თვისა ცვლილებების შეტანამდე.

3.6 დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში აბონენტი გამოირთვება ქსელიდან და მისი ქსელში ჩართვა მოხდება დავალიანების სრულად დაფარვის შემდეგ.

3.7 ოპერატორი თავისუფლდება ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებისგან, თუ:

- გაჩნდა ადგილობრივი ხასიათის ხელშეშლები, რომელიც გამოწვეულია სააბონენტო კაბელის დაზიანებით, ან შემაერთებელი მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლით;
- აბონენტის მიერ თვითნებური მოქმედებით და ქსელის გაყოფა-განაწილებით;
- მოხდა სათაო სადგურის ავარიული გამორთვა ან ქსელის ავარიული დაზიანება;
- მოხდა ქსელის დაზიანება ბუნებრივი პირობების გამო ან გაჩნდა გარე ხელშეშლები სამოყვარულო, პროფესიონალური, საყოფაცხოვრებო და რადიო-სატელევიზიო, სამომსახურეო ან სხვა ხელსაწყოებით;
- არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია დაზიანების შესახებ.

4 აბონენტის უფლებები და ვალდებულებები

4.1 აბონენტს უფლება აქვს მოითხოვოს ინფორმაცია საკუთარი დავალიანებისა თუ ანგარიშის შესახებ.

4.2 მიიღოს მისთვის საჭირო კონსულტაცია საკაბელო ქსელის ექსპლუატაციისშესახებ.

4.3 აბონენტს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მისთვის ხელსაყრელ დროს და აცნობოს ამისშესახებ ადმინისტრაციას წერილობით 10 დღით ადრე.

4.4 ტექნიკური პრობლემების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ოპერატორს.

4.5 გამოიძახოს ტექნიკური პერსონალი და უზრუნველყოს მათი მუშაობის პირობები ადგილზე.

4.6 აბონენტი ვალდებულია სააბონენტო გადასახადი გადაიხადოს ყოველთვის 10 რიცხვამდე საკაბელო ტელევიზიის ოფისში მისამართზე: *ვაჟაფშაველას, 41; ტელ. 557-42-00-55* ან ჩარიცხოს ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4.7 აბონენტს უფლება აქვს არსებული პრეტენზიების შესახებ დარეკოს ოფისში ტელეფონზე 557 42 00 55 ან გამოუგზავნოს ინფორმაცია ვებ-გვერდზე მითითებულელ მისამართზე

5 ხელშეკრულების მოქმედება

5.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 1 წლის ვადით.

5.2 ოპერატორის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება ცალმხრივად, თუ აბონენტი არღვევს ხელშეკრულების პირობებს და არიხდის დროულადსააბონენტო გადასახადს.

5.3 ხელშეკრულება ითვლება გაგრძელებულად იგივე ვადით და იგივე პირობებით, თუ აბონენტი არ განაცხადებს მისიშეწყვეტის შესახებ წერილობით, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 10 დღით ადრე.

6 სხვა პირობები

6.1. ყველა სადაო საკითხი მოგვარდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

6.2 ხელშეკრულება ითვლებაშეჩერებულად ფორსმაჟორული პირობების დადგომის დროს.

6.3 მომსახურების ხარისხის გაუარესებაზე აბონენტის წერილობით პრეტენზიას ოპერატორი იხილავს შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში. პრეტენზიის ვერ აღმოფხვრის შემთხვევაში ოპერატორმა აბონენტს უნდა აცნობოს აღნიშნულის თაობაზე. ოპერატორის მხრიდან მომსახურების ხარისხის არსებითად გაუარესების ვერ აღმოფხვრის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ პრეტენზიის ოპერატორთან დაფიქსირების შემდგომ პერიოდიდან კომპენსაციაზე, ან, კომპენსაციაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, შეწყვიტონ ხელშეკრულება.

6.4 ხელშეკრულება მოიცავს სრულ თანხმობას მხარეებს შორის. შედგენილია ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან, რაზედაც ვაწერთ ხელს:

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მომხმარებელი

_____

_____

_____

_____ _____

_____

_____

შპს „დელისი ტვ“ ს.კ 405505065

0177, თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი 41,

e-mail: delisitv1@gmail.com

ა/ა GE73BG0000000530407427

სს საქართველოს ბანკი, ბ/კ BAGAGE22

_____